საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი№28

ქ. თბილისი 02.05.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ქრისტინე გაბისობია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიო ჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის დეკანი;
მარიეტა თაბაგარი - აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ეკატერინე კახნიაშვილი - საბაკალავრო პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ ხელმძღვანელი;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

თამარ სანიკიძე - „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
ზაირა ტყებუჩავა - „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
რევაზ ზედგენიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლელა წითაშვილი - „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
ლერი ნოზაძე - „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ლევან გულუა
ვახტანგ კურცხალია
ნინო დეკანოიძე
გიორგი ჯაფოშვილი
ქეთევან კინწურაშვილი
ნანი არაბული (სატელეფონო ჩართვით)

თეა კასრაძე
სალომე ონიანი (სატელეფონო ჩართვით)

საბჭოს სხდომის მოწვეული წევრი:

კახაბერ თავზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლის დირექტორი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.

სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში 0104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლევან გულუამ. მან აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარე არ იმყოფებოდა და მის მაგივრად მას მოუწევდა წარმოედგინა ექსპერტთა პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 24 იანვარს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით. ასევე, მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, რომელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, პროგრამის შემუშავების პროცესში, ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობის მაღალი ხარისხით მონაწილეობა. ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები. თვითშეფასებების ანგარიშსა და მასზე თანდართული

დოკუმენტაციის შესწავლით, სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დასკვნის ფორმირებაზე და დადგინდა საბაკალავრო პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მუშაობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ოთხი სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 2,3 და 2,5 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. ექსპერტმა ლევან გულუამ აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებული იყო გარკვეული რეკომენდაციები:

1. საგნებში ,,თბოტექნიკა სამაცივრე ტექნოლოგიის საფუძვლებით“ და ,,პროცესები და აპარატები“ სემინარებზე არ ჩანს ამოცანების ამოხსნის პრაქტიკა. ამ საგნების უკეთ ათვისებისთვის მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს ეს უკანასკნელი;

2. სილაბუსში ,,საინჟინრო ენზიმოლოგია“ კურსის შინაარსის ასათვისებლად, ლექციებთან ერთად, გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები. მიგვაჩნია, რომ მე-6 და მე-7 კვირის 4 თემატიკის გათვალისწინებით, მეცადინეობის ფორმა უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობა (სემინარი);

3. სილაბუსში ,,სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, კურსის შინაარსის გათვალისწინებით, უმჯობესია: ,,პრაქტიკული სამუშაოს“ ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი: ,,პრაქტიკული მეცადინეობა“;

4. სილაბუსებში „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“ და „საწარმოო მიკრობიოლოგია“ კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო;

5. სასწავლო კურსში ,,მცენარეთა ბიოქიმია“ დისკუსია ტარდება მხოლოდ მე-16 კვირას. სასურველია, დისკუსიები ტარდებოდეს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოითქვა რამდენიმე რჩევა:

- ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვრის განმარტება ბუნდოვანია. სასურველია, რომ დაზუსტდეს;
- სასურველია დამსაქმებელთა სპექტრის გაფართოება;
- სასურველია სწავლის შედეგების გამსხვილება;
- თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სასურველია, ლაბორატორიების აჭღურვილობის გადახალისება.

ამასთან, ერთად ექსპერტმა ხაზი გაუსვა, საუკეთესო პრაქტიკას, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეტანილი ჰქონდათ სატრენინგო კურსები, რომელიც აკადემიური პერსონალის გადამზადებისთვის უნივერსიტეტის მიერ იყო დაფინანსებული. ცენტრალური ბიბლიოთეკა უახლესი ტექნოლოგიებითა და საბიბლიოთეკო ბაზებით იყო აღჭურვილი, რომელთანაც ელექტრონულად იყო დაკავშირებული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. დამხმარე

სახელმძღვანელოების შედგენასთან დაკავშირებით არსებობდა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის მუდმივი მზაობა. ფაკულტეტში შექმნილი იყო აგრარული მიმართულებისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერით შესაძლებელი იყო დაფინანსებულიყო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით კვლევითი პროექტები. მან აღნიშნა, რომ ეს იყო მოკლე დასკვნა საექსპერტო ჯგუფისა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტების რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა დაწესებულების აგრარული ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან კინწურაშვილი. მან „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგიისა“ და „საწარმოო მიკრობიოლოგიის“ კურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე - *„კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო“* - განმარტა, რომ სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავდა ჩასატარებელი ლექციისა და ლაბორატორიული პრაქტიკის მეცადინეობების თემებს კვირების მიხედვით, საათებისა და გამოყენებული ლიტერატურის გვერდების მითითებით. ამდენად, იმ განყოფილებაში პრეზენტაციის ჩატარების დრო ვერ იქნებოდა მითითებული, რადგან იგი სრულად გაწერილი იყო შეფასების რუბრიკაში, ჩატარების კვირა, პირობები, ქულობრივი განაწილება, ხოლო საპრეზენტაციო თემები მოცემული იყო სილაბუსის ბოლოს დამოუკიდებელი თემატიკის ჩამონათვალში. „მცენარეთა ბიოქიმიასთან“ დაკავშირებით - *„სასწავლო კურსში დისკუსია ტარდება მხოლოდ მეთექვსმეტე კვირას და სასურველია ტარდებოდეს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში“* - ქეთევან კინწურაშვილმა ექსპერტებს უპასუხა, რომ სავარაუდოდ ექსპერტს ჰქონდა ნაგულისხმევი ის დისკუსია, რომელიც მართლაც ყოველი სასწავლო მასალის გადაცემის დროს უნდა მიმდინარეობდეს ინტერაქტიული ლექციის ჩატარების შემთხვევაში და ეს ასეც იყო კურსის განხორციელების დროს, მაგრამ სილაბუსში „მცენარეთა ბიოქიმია“ დისკუსია გათვალისწინებული იყო, როგორც შეფასების სისტემის ერთი კონკრეტული კომპონენტი, ამიტომ შუალედური შეფასების 30 ქულიდან 5 ქულა დათმობილი ჰქონდა დისკუსიის ჩატარებას, რომელიც გულისხმობდა სტუდენტის ცოდნის, კომუნიკაციის უნარის, პრობლემის გადაწყვეტის უნარის, ლოგიკური და თანამიმდევრული აზროვნების უნარის შეფასებას. მან აღნიშნა, რომ დისკუსია ტარდებოდა ჯგუფურად მეთექვსმეტე კვირაში განვლილი სალექციო მასალის ირგვლივ წარმოქმნილი საკითხებიდან, წინასწარ შერჩეულ თემაზე ან პრობლემაზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას - „ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვრის განმარტება ბუნდოვანია და სასურველია, რომ დაზუსტდეს“ ქეთევან კინწურაშვილმა უპასუხა, რომ ყველა სილაბუსის შეფასების რუბრიკაში შუალედური შეფასებები გაწერილი იყო ჩატარების დროის, ადგილის, ქულობრივი განაწილების მიხედვით, ამასთან ყველა სილაბუსში მითითებული იყო კონკრეტული სილაბუსის დასკვნით გამოცდაზე გასვლისთვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 18. ხოლო უშუალოდ შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, იმ შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილი არ იყო. ზოგადად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპრობირებული წესის გათვალისწინებით, აქტივობების მინიმალური ჯამი უნდა ყოფილიყო 18 ქულა, რათა სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ჰქონოდა, ხოლო შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ ჰქონდა უნივერსიტეტს განსაზღვრული არცერთ პროგრამაში. მან დაამატა, რომ შესაძლებელი იყო დაეწესებინათ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ამით არაფერი არ დაშავდებოდა, უბრალოდ მათ გაითვალისწინეს ის წესი, რაც უნივერსიტეტში მოქმედებდა. გარდა ამისა, ყველა შეფასება, რომელიც დაკავშირებული იყო ქულის მინიჭებასთან ტარდებოდა სარეიტინგო და საგამოცდო ცენტრში, რაც ზედმეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ერთ-ერთ ფაქტორს ორგანიზაციული კუთხეც წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რჩევებისთვის და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს იმდროინდელი ფაქტობრივი მდგომარეობა ფასდებოდა და რჩევები იყო მოცემული ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით. ექსპეტებმა ნახეს, რომ მოწყობილობის დიდი ნაწილი უკვე შეძენილი, შეფუთული, და დამონტაჟების პროცესში იყო, რამდენიმე ახალი მოწყობილობა კი დამონტაჟებული იყო, ასევე, ჰქონდათ ძველი მოწყობილობები. გარდა იმისა, რაც უშუალოდ ფაკულტეტზე იყო, მათ ასევე, ჰქონდათ წვდომა უნივერსიტეტის საერთო ლაბორატორიებთან ნებისმიერ დროს, უფრო მეტიც, ქიმიის ყველა სასწავლო კურსის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდებოდა ქიმიის კორპუსში, სადაც შესაბამისი დეპარტამენტი ძირითადად საქმიანობდა.

სხდომის თავჯდომარემ იკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს კითხვები დაწესებულებასთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობდა დამატებით სპეციალობასაც 60 კრედიტის მოცულობით, რაც 6 სემესტრზე ნაწილდებოდა 10-10 კრედიტის ოდენობით. მან იკითხა, რა კომპონენტების დაფარვა იყო აუცილებელი სტუდენტებისთვის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში დამატებითი სპეციალობის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი კონტიგენტი მოდიოდა დამატებით სპეციალობაზე. ფაკულტეტზე სხვა პროგრამებსაც ჰქონდათ დამატებითი სპეციალობები და ზოგადად აგრარულ პროგრამებთან დაკავშირებით მათი მიდგომა, იყო შემდეგი რომ პროგრამები ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განიხილებოდა და ყველა პროგრამის სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა, აერჩია დამატებითი სპეციალობა სხვადასხვა პროგრამიდან. ამიტომ, დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა მხოლოდ ის, რომ მათი სპეციალობის სტუდენტი ვერცერთ შემთხვევაში იმ დამატებითს ვერ აირჩევდა. მათ სტუდენტს უნდა აერჩია სხვა დამატებითი პროგრამა, რომ არ გამოსულიყო საგნების დუბლირება.

საბჭოს წევრმა ექსპერტებს ჰკითხა, თუ რომელი ლაბორატორიები ან ლაბორატორიის კომპონენტები იქნა შეფასებული, რომელიც საჭიროებდნენ გაძლიერებას.

ექსპერტმა ლევან გულუამ უპასუხა, რომ ქიმიის, ბიოქიმიის ლაბორატორიებში, გამოყენებული იყო შედარებით მოძველებული აპარატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან კინწურაშვილმა დაამატა, რომ მათ უკვე მიიღეს შესაბამისი ღონისძიებები და მიმდინარე სემესტრიდან ქიმიის მიმართულების ყველა სასწავლო კურსის სწავლება ძირითად კორპუსში ჩატარდებოდა, სადაც მიზნობრივი ქიმიის ლაბორატორია იყო განთავსებული. პროგრამა ორიენტირებული იყო კვების ტექნოლოგიის ქიმიაზე, ამიტომ წმინდა ქიმიის პრაქტიკული მეცადინეობები, (არაორგანული ქიმია, ზოგადი ქიმია, ორგანული ქიმია) ტარდებოდა მიზნობრივი ქიმიის ლაბორატორიაში.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან კარგი იყო, მითუმეტეს რეგიონისთვის, სადაც მისი არსებობა აუცილებელიც კი იყო და დაამატა, რომ ჰქონდა რამდენიმე შენიშვნა ქიმიის სილაბუსებთან დაკავშირებით: „ზოგადი და არაორგანული ქიმიის“ სილაბუსში სალექციო მასალა იმდენად დიდი იყო, რომ პრაქტიკულად წარმოუდგენელად მიაჩნდა, პედაგოგს ერთ საათში დაეფარა მითითებული მასალა. მისი აზრით, ეს სტუდენტისთვისაც გაუგებარი იქნებოდა და პედაგოგისთვისაც რთულად შესასრულებელი. საბჭოს წევრის რეკომენდაციით, კარგი იქნებოდა ლექციის სურათებით ჩატარება და ძირითადი საკითხების ამორჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა უპასუხა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას, რადგან ქიმიით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო და რაიმე საკითხის გამოტოვებას, სილაბუსის არსებული სახით შედგენა არჩია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ეს საუნივერსიტეტო საგანი იყო და სახელისა და კრედიტის ცვლილების უფლება არ ჰქონდათ, თუმცა ცდილობდნენ ამ საკითხზე მუშაობას.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა იკითხა „ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებში" მაგალითად, ლაბორატორიული სამუშაო: კოფეინის განსაზღვრა ყავაში, სახამებლის რაოდენობრივი განსაზღვრა ლუდში - რა მეთოდებით ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა უპასუხა, რომ იყენებდნენ სპექტომეტრულ მეთოდს.

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ ორგანული ქიმიის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა იყო 1986,1987,1989 წლის და განახლებას საჭიროებდა.

ქეთევან კინწურაშვილმა უპასუხა, რომ ის არ იყო სილაბუსის ავტორი და ამაზე გაუჭირდებოდა კომენტარის გაკეთება. მან დაამატა, რომ რესურსის პრობლემა არ ჰქონდათ და გადიოდნენ შედეგზე.

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა დაამატა, რომ ფიზკოლოიდური ქიმიის სილაბუსში თერმოდინამიკის მე-2 კანონში პროცესის მიმართულების განმსაზღვრელად ენტროპია იყო განხილული, მაშინ როდესაც რეალურად პროცესის მიმართულების განმსაზღვრელი არაიზოლირებულ სისტემებში იყო ჯიპსის და ჰელდონკის პოტენციალები, რომლებიც საერთოდ არ ჰქონდა სილაბუსის ავტორს ნახსენები. ეს პოტენციალები ზოგად ქიმიაში ჰქონდათ გათვალისწინებული, მაგრამ სწორედ იქ არ იყო ამის აუცილებლობა.

საბჭოს სხდომაზე 16:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 16:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და გამოკვეთა შემდეგი **რეკომენდაციები:**

- „ზოგადი და არაორგანული ქიმიის" სილაბუსში სალექციო მასალა არის მოცულობითი, შესაბამისად, ძირითადი თემების განხილვისას ლექციების დროს გამოყენებულ იქნას ვიზუალური (სურათები) მასალები.

- „ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებში" არ არის განსაზღვრული მაგალითად, ლაბორატორიული სამუშაო: კოფეინის განსაზღვრა ყავაში, სახამებლის რაოდენობრივი განსაზღვრა ლუდში - რა მეთოდებით ხდება მათი განსაზღვრა.

- „ორგანული ქიმიის" სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა არის 1986-1987-1989 წლის, განსაახლებელია.

- თერმოდინამიკის მე-2 კანონში განხილულია პროცესის ენტროპია, მაშინ როდესაც მიმართულების განსაზღვრელი არაიზოლირებულ სისტემებში არის ჯიპსის და ჰელდონკის პოტენციალები.

სხდომის სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 6 თვეში წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე-11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-31 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროტექნოლოგია
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგროტექნოლოგიის მაგისტრი 010103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს გიორგი ჯაფოშვილს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები და რეკომენდაციები:

1. ბევრ სალექციო კურსს არ გააჩნია წინაპირობა, რაც გამოსასწორებელია ზოგ შემთხვევაში მაინც. მაგ: სასწავლო კურსს ,,მცენარეთა დაცვა" უნდა ჰქონდეს წინაპირობა კურსი „მცენარეთა ფიზიოლოგია" შეიძლება „მიკრობიოლოგიაც", ასევე სასწავლო კურსს „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია"-ს დაშვების პირობად უნდა ჰქონდეს „აგრონომიის ინტეგრირებული კურსი"და სხვ.;
2. სწავლის შედეგების რუქაში მითითებულია „ზოგადი მიკრობიოლოგია", სასწავლო გეგმაში „მიკრობიოლოგია". საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი ცხრილი;
3. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც შესასწორებელია, ხოლო საკუთრივ უცხოენოვანი ლიტერატურა სილაბუსებში ნაკლებადაა გამოყენებული, რაც ვფიქრობთ, ასევე, გამოსასწორებელია;
4. პროგრამის სილაბუსებში ზოგჯერ არა ადეკვატური ლიტერატურა გამოყენებული. საჭიროა გამოყენებული ლიტერატურა იყოს შესაბამისი და უფრო მრავალფეროვანი;
5. პროგრამაში არ უნდა იყოს მითითებული ისეთი მეთოდები, რომლებიც არ გამოიყენებიან სილაბუსებში. ზოგადად, სწავლება-სწავლის მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარსს;
6. საჭიროა საბიბლიოთეკო რესურსების გაზრდა;
7. საჭიროა დამატებით ლაბორატორიების მოწყობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისთვის აბიტურიენტებისთვის ჩატარდეს გამოცდა სპეციალობაში;
- საჭიროა კიდევ მეტი კავშირები დამსაქმებლებთან;
- სასურველია თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაბამისობაში იყოს რეალობასთან. კერძოდ, თვითშეფასებიდან ამოსაღებია დადასტურება „კურსდამთავრებულების გამოკითხვა", ვინაიდან კურსდამთავრებულები პროგრამას არ ჰყავს;
- სასურველია პროგრამაში ჩანდეს რომ მხოლოდ ინგლისური ენა არაა სამაგისტრო პროგრამის დარგობრივი ენა და გერმანული ენაც იმავე სტატუსითაა, როგორც ინგლისური ენა. ასევე, სასურველია, გარდა ქართული ენის ცოდნისა, გაწერილი იყოს დაშვების წინა პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;
- სილაბუსებში ზოგჯერ გვხვდება სალექციო კურსების შინაარსის გადაფარვა, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც შედგენისას, ასევე, თვითშეფასების დროს;
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი შეეცვალოს სასწავლო კურსს „სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები";
- სასურველია უფრო მეტად იყვნენ ჩართული სტუდენტები კვლევით პროექტებში აკადემიურ პერსონალთან ერთად;
- სასურველია აკადემიური პერსონალი გააქტიურდეს კვლევით ნაწილში და გამოქვეყნებისას ყურადღება მიექცეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციას. ასევე, კარგი იქნება თუ გააქტიურდება დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესორის საერთაშორისო კავშირები და საერთო პრობლემატიკაზე თანამშრომლობა;

• სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა გარე ექსპერტებს მიმართონ თხოვნით, შეფასება იყოს კრიტიკული, რომ შემდგომში მათ შეძლონ გამოთქმული მოსაზრებების პროგრამის განვითარებისთვის გამოყენება.

ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია, ჩართული პერსონალიც, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რათა პროგრამას გამართულად ემუშავა, თუმცა იყო მცირე ხარვეზებიც, რომლებიც დაძლევადია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზაირა ტყებუჩავამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციების, რჩევებისათვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და კურსს მცენარეთა დაცვა წინაპირობად განესაზღვრა მცენარეთა ფიზიოლოგია, ხოლო მრავალწლიან კულტურებს აგრონომიის ინტეგრირებული კურსი. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაშვებული იყო მექანიკური ხარვეზი და გამოსწორდა. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ყველა უცხოენოვანი ლიტერატურა გადავიდა არჩევითში და იგეგმებოდა ზოგიერთი გადატანილი უცხოენოვანი ლიტერატურის ძირითად ლიტერატურაში გადატანა თარგმნის შემდეგ, რომელზეც მუშაობა დაწყებული იყო. შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ზოგიერთ სილაბუსში უცხოენოვანი ლიტერატურის ნაკლებად გამოყენებას, - სინოპტიკური მეტეოროლოგიის კურსში ჩაისვა უცხოენოვანი ლიტერატურა, ხოლო დანარჩენებზე მოკვლევა მიმდინარეობდა. ლიტერატურასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია და მის ნაცვლად დაამატეს სახელმძღვანელო სასურსათო კულტურათა აგროტექნოლოგია და მიწათმოქმედების პროდუქტთა ტექნოლოგია. ასევე, გაზიარებულია რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით და ამოღებულ იქნა ისეთი მეთოდები, რომლებიც პედაგოგის მიერ სწავლის პერიოდში არ გამოიყენებოდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა დამატებითი საბიბლიოთეკო რესურსების მოძიებაზე, რაც კიდევ გაამდიდრებდა არსებულ ფონდს ახალი ლიტერატურით. რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, მან განმარტა, რომ მიმდინარეობდა მონტაჟი, უბრალოდ ექსპერტების ვიზიტის დროს ამის ნახვა ვერ მოხერხდა.

რჩევებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაირა ტყებუჩავამ განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისათვის აბიტურიენტებს სასპეციალიზაციო გამოცდა ჩაუტარდებოდათ დარგობრივ ინტეგრირებულ კურსში. ასევე აღნიშნა, რომ დამსაქმებლებთან მუშაობა მიმდინარეობდა, რათა კიდევ უფრო გაეძლიერებინათ კურსი. თვითშეფასების დოკუმენტებში იყო მექანიკური შეცდომა დაშვებული, კერძოდ, უნივერსიტეტს კურსდამთავრებულები არ ჰყავდა და მტკიცებულებებში მითითებული ჰქონდათ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რაც გამოსწორდებოდა. ასევე, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის დარგობრივ ენად ჩაიწერა როგორც ინგლისური, ისე გერმანული ენა. სალექციო კურსების შინაარსის გადაფარვასთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ აგრონომიის ინტეგრირებულ კურსზე მცენარეთა დაცვაში ადგილი ჰქონდა საკითხის გადაფარვას სარეველე მცენარეების განხილვაში, რაც გამოსწორდა და დარჩა მცენარეთა დაცვის სილაბუსსში. არჩევით სასწავლო კურსს სტატუსი შეეცვალა ძირითად საგნად. ხოლო რაც შეეხებოდა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებში ჩართულობას უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობდა მუშაობა. გამოცხადებული

ჰქონდათ შიდა გრანტები და სტუდენტები, დოქტორანტები და თანამშრომლები ჩართულები იყვნენ ამ პროცესში. სტატიის გამოქვეყნებისას კი უნივერსიტეტი იღებდა ვალდებულებას, ყოფილიყო თანადამფინანსებელი. ზაირა ტყებუჩავამ განაცხადა, რომ გარე ექსპერტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებაც მოხდებოდა.

სხდომის თავჯდომარემ დააზუსტა კითხვა ლაბორატორიასთან დაკავშირებით, ახლა აკეთებდნენ თუ უკვე გამართული ჰქონდათ, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ლაბორატორია ჰქონდათ, თუმცა მაღალი დონის არ იყო, ასევე, შეძენილი ჰქონდათ ახალი ლაბორატორია, რისი მონტაჟიც მიმდინარეობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰქონდა ახალციხეში ლაბორატორია, რომელიც დაკეტილი იყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რათა მომხდარიყო იმ ლაბორატორიის უნივერსიტეტში გადმოტანა. ასევე, მიმდინარეობდა ქიმიის ახალი ლაბორატორიის მონტაჟი, რომელიც დაახლოებით 50 000 ლარის ფარგლებში იქნა შეძენილი. მას დაემატებოდა 100 000 ლარის ინვენტარი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, თუ რა დანადგარები იყო სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაირა ტყებუჩავამ უპასუხა, რომ ლაბორატორიაში მიმდინარეობდა ნიადაგის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, აზოტის განსაზღვრა, თესლის კონტროლი, სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის, ნიადაგის ტენიანობის დადგენა, მათი ფიზიკური თვისებების შესწავლა და ა.შ.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, რატომ იყო დიდი ხნის განმავლობაში დაკეტილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია და რატომ არ ფუნქციონირებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ლაბორატორიაზე მოთხოვნა ზოგადად არსებობდა, სტრუქტურა უქმდებოდა, რის გამოც შპს მექანიზატორმა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქმედებები შეაჩერა, შესაბამისად იქ მომსახურე პერსონალის ანაზღაურებაც არ ხდებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განმარტა, რომ ძირითადი პრობლემა იყო არა რაიმეს შეძენა, არამედ კვალიფიციური მომსახურება, განსაკუთრებით თუ აპარატურა არსებობდა. თუ დიდი ხნის განმავლობაში ის ლაბორანტები უმოქმედოდ იყვნენ, კვალიფიციური მომსახურება ვერ მოხდებოდა, და იქ მომუშავე პერსონალს დასჭირდებოდა გადამზადება. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი საათი იყო განსაზღვრული ლაბორატორიული დატვირთვისათვის, და როგორ დისციპლინებს ჰქონდათ ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაირა ტყებუჩავამ უპასუხა, რომ მაგალითად აგრობიოტენოლოგიას ჰქონდა ლაბორატორია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ აგრობიოტექნოლოგიის კურსში არ იკითხებოდა ლაბორატორიული მუშაობა, იქ იყო სამუშაო ჯგუფები, სადაც ეწერა რომ ეს თეორიული საკითხები იყო.

ექსპერტმა, ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, მაგრამ მეტნაკლებად ჰქონდათ კვალიფიციური კადრების პრობლემა, თუმცა ეს მოწვეული სპეციალისტების რესურსით იყო დაბალანსებული. მან დაამატა, რომ დაწესებულებამ რეალურად წარმოაჩინა, თუ რისი შესაძლებლობა ჰქონდა და შესაბამისად სასწავლო კურსებშიც არ ჰქონდათ ნახსენები ლაბორატორიული სამუშაოები, გარდა რამდენიმე სასწავლო კურსისა, ეს ჩანაცვლებული იყო პრაქტიკული მეცადინეობებით. მოწვეული კადრებისთვის გამოყოფილი იყო ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფდა მათ გადაადგილებას თბილისიდან ახალციხეში. გარდა ამისა, ჰქონდათ საერთო საცხოვრებელი და პედაგოგებს ხელს უწყობდნენ მათთვის ხელსაყრელი ცხრილის შედგენაში. პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ ეს ყველაფერი პრაქტიკაში ხორციელდებოდა. ექსპერტმა დაამატა, რომ უნივერსიტეტი ძირითადად იყენებდა კონტრაქტორი ორგანიზაციების ლაბორატორიებს და ჩაშენებული პრაქტიკის სახით, გარკვეულწილად ლაბორატორიული საკითხი იფარებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ უნივერსიტეტი მართლა ცდილობდა კვალიფიციური კადრების, მოწვევას, რადგან აკადემიური კადრების სერიოზული დეფიციტი არსებობდა, არამარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთელ საქართველოში. რეალურად, აგრარული მიმართულების პროფესიები, რეგიონებში უფრო უნდა ყოფილიყო აკუმულირებული, ვიდრე თბილისში, რაც შეეხებოდა საველე პრაქტიკას, ეს წარმოადგენდა პრობლემას, რადგან ლაბორატორია არ ღირდა იაფი. თუმცა, უნივერსიტეტი იყენებდა ყველანაირ რესურსს და ცდილობდა, ახალგაზრდებისთვის შეექმნა იმის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ დონეზე, ფერმერი იქნებოდა, ბაკალავრია თუ მაგისტრანტი, რეგიონშივე მიეღო ცოდნა, რაც წარმოადგენდა ქვეყნის პრიორიტეტს. აგრარულ სექტორში კი მაგისტრანტების დეფიციტი არსებობდა, საჭირო იყო ანალიტიკა და კვლევა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ფერმერებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა საველე პირობებში დაკვირვებოდნენ ახალ ტექნოლოგიას, ახალ ჯიშსა და სახეობას, რადგან აღარ არსებობდნენ ის ინსტიტუტები, რომლებიც სელექციას ახორციელებდნენ და ეს პრობლემა მაგისტრატურის თემის გადასალახავია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზაირა ტყებუჩავამ დაამატა, რომ უნივერსიტეტს სტაჟირებაზე ჰყავდა აგრარულ უნივერსიტეტში ერთი მაგისტრი, და ასევე ერთი მაგისტრი ორ თვიან სტაჟირებას გადიოდა გერმანიაში აგრობიოტექნოლოგიის მიმართულებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ოთხი თემა ჰქონდა ფერმერებისგან შემოთავაზებული: ხორბლის ფესვის ვარდნის დადგენა, შაქრის ჭარხლის აღმოჩენა, როგორ დანერგონ კრიტიკალი-შუალედური კულტურა (ჭვავისა და ხორბლის შეჯვარებით არის მიღებული) სამცხე-ჯავახეთში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განმარტა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იმისთვის არსებობდა, რომ ხარისხი განევითარებინა და არავის არ ჰქონდა იმის მიზანი, რომ შეცდომები წინ წამოეწია და პროგრამის ძლიერ მხარისათვის არ მიექცია ყურადღება. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მთავარი შედეგზე გავლა იყო და შესაბამისი ცოდნის მიღება. რაც შეეხებოდა, მოწვეულ სპეციალისტებს, აღნიშნა, რომ ის ძალიან კარგი პრაქტიკა იყო და პრობლემა საერთოდ მოიხსნებოდა დისტანციური სწავლების შემთხვევაში. მან დადებითად შეაფასა სპეციალისტების მოწვევა, მაგრამ შეუძლებელი იყო, ის მატერიალური რესურსი, რომელიც მაგალითად აგრარულ უნივერსიტეტს ჰქონდა, ყოველ კვირას ეტარებინა აქეთ-იქით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს მიკრობიოლოგია - მცენარეთა დაცვა, აგრობიოტექნოლოგია - აგრონომიის ინტეგრირებული კურსების სილაბუსებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ თემები, რაც მათ ჰქონდათ წარმოდგენილი და ჩაშლილი საბაკალავრო დონის იყო, რაზეც მათ როგორც ექსპერტებმა ყურადღება არ გაამახვილეს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან კინწურაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტების მთავარი მოვალეობა, იყო სრულად წარმოეჩინათ ყველაფერი. ასევე, დაამატა, რომ უნივერსიტეტს მაქსიმალურად ჰქონდა გათვალისწინებული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ ფაქტიურად არცერთი მაგისტრანტი არ ჰყავდათ საბაზო განათლებით, ყველა სხვადასხვა სპეციალობებიდან იყო მოსული პროგრამაზე და დონე ნამდვილად არ იყო მისაღები, თუმცა მაქსიმალურად ყველა საკითხს ეხებოდნენ, თუნდაც საბაკალავრო საფეხურიდან და ამით საშუალებას აძლევდნენ მაგისტრანტს, რომ არსებული ხარვეზი შეევსოთ. ქეთევან კინწურაშვილმა დაამატა, რომ კანონმდებლობა უშვებდა სპეციალობის შეცვლას, შესაბამისად, ამას უნივერსიტეტი ვერ შეცვლიდა, თუმცა ექსპერტების რეკომენდაცია გამოცდის დადგენაზე მისაღებია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ტყის მავნებლების სილაბუსიც, არჩევითში იყო სადაც წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშები შედიოდა, რაც არაადეკვატური იყო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა მათ შენიშვნებში აღნიშნეს, რომ სილაბუსები გასასწორებელი იყო, რაც გაითვალისწინეს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ კი დაამატა, რომ ეს უხეში შეცდომა იყო.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ კურსებში - ტყის მავნებლები და მონიტორინგი, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბიომრავალფეროვნების მიმართულებით გამოყენებული ლიტერატურა სრულიად შეუთავსებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაირა ტყებუჩავამ განმარტა, რომ სილაბუსის ავტორი ესაუბრა ექსპერტებს და ამ ყველაფერს გამოასწორებდა.

ექსპერტმა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ პერსონალურად მოითხოვეს იმ პედაგოგთან შეხვედრა.

17:21 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა: 17:32

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და მეორე სტანდარტი შეაფასა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. საბჭომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო შემუშავებული რეკომენდაციები:

- ლაბორატორიის საკითხი;
- სილაბუსებში უხეში შეცდომებია გაპარული, რაც გამოსასწორებელია;
- სილაბუსებში მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც ცალსახად შესასწორებელია;
- სამაგისტრო დონის გათვალისწინებით საგნების შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე-11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-31 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს-ინფორმატიკა
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის მაგისტრი ინტერდისციპლინურ ინფორმატიკაში, Master in Interdistciplinary Informatics 040106
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ესწრებოდა მოწვეული ექსპერტი, რომელიც თავის მოსაზრებას გააცნობდა საბჭოს. შემდეგ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებულ ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა კასრაძემ წარმოადგინა ვიზიტის დროს შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები. გაძლიერდეს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტები მათში ფინანსების დარგის აუცილებელი დისციპლინების დამატებით;
- გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და დაემატოს საწარმოოს პრაქტიკა;
- სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)" გაძლიერდეს პრაქტიკული ამოცანებით კონკრეტული საგნობრივი სფეროდან;
- სასწავლო კურსში „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება" დაემატოს ასიმეტრიული ალგორითმები;
- სასწავლო კურსი „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები" თემატიკა განახლდეს ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტის შესაბამისად;
- განახლდეს სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა და დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას;
- უსდ-მ ხელი შეუწყოს სტუდენტებს კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში, ჰაკათონებსა და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა წითაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია მათთვის მისაღებია და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისათვის. პირველ რეკომენდაციასთან, ფინანსების დარგის აუცილებლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა სავალდებულო ნაწილში ჩასვა სილაბუსი „ფინანსური მართვა", ხოლო „საწარმოო პრაქტიკის" განმარტებასთან დაკავშირებით კი უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული და მესამე სემესტრში „საწარმოო პრაქტიკა" 5 კრედიტის რაოდენობით განსაზღვრა. შემდეგ რეკომენდაციასთან, „ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირებასთან" დაკავშირებით, კი აღნიშნა, რომ პედაგოგებთან კონსულტაციის შემდეგ პრაქტიკული ამოცანები უფრო მეტი დოზით ჩაისვა.

მეხუთე რეკომენდაციის, სასწავლო კურსს ქსელურ ტექნოლოგიებთან და კომუნიკაციებთან დაკავშირებით, თემატიკის განახლების კუთხით, მან აღნიშნა, რომ ეს იყო შემთხვევა, როდესაც სილაბუსი ძალიან მაღალი დონით იწყებოდა და იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა

გვაძლევს უფლებას სხვა სპეციალობის სტუდენტებმაც ჩააბარონ მაგისტრატურაში, პრაქტიკულად დიდი ნახტომი უნდა ყოფილიყო, რომ დაწეოდა ამ პროგრამას, ამიტომ პედაგოგებთან კონსულტაციებით „ქსელური ტექნოლოგიების“ სილაბუსში რამდენიმე უფრო მარტივი საკითხი ჩაემატა. მეექვსე რეკომენდაცია, რომელიც ეხება ძირითადი ლიტერატურის განახლებას, ბიზნეს ინგლისური, რომელშიც 2005 წლის ლიტერატურა იყო მითითებული, გაძლიერდა 2017-2018 წლის სახელმძღვანელოთი. ასევე, რამდენიმე სილაბუსს დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სამაგისტრო დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ხარისხთან გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყველანაირად ცდილობდა ამ საკითხის მოგვარებას, თუმცა უნივერსიტეტს ხუთი კურსდამთავრებული ჰყავს ბიზნეს ინფორმატიკაზე. მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო კვლევის წილი და შეეცდებოდნენ მის გაძლიერებას. სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ისინი მონაწილეობდნენ კონფერენციებში, ასევე, დაამატა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა საგრანტო პროექტები ყოველწლიურად სადაც სტუდენტებიც, მაგისტრებიცა და დოქტორანტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტს, დაეფიქსირებინა მისი პოზიცია.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა კახა თავზარაშვილმა, აღნიშნა, რომ იგი გაეცნო საქმის მასალებს და ძირითადად ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნას. 5 სტანდარტიდან მხოლოდ ერთის მეორე სტანდარტი იყო მეტწილ შესაბამისობაში. მან ჰკითხა ექსპერტებს, თუ რატომ შეაფასეს აღნიშნული სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში მყოფად. ექსპერტმა თეა კასრაძემ უპასუხა, რომ ვიზიტის დროს დაინტერესდნენ მისაღები გამოცდების ფორმით, გაეცნენ იმ ტექსტებს, რისი ჩაბარებაც უხდებოდათ სტუდენტებს, ექსპერტების რეკომენდაცია მდგომარეობდა საგამოცდო საკითხების ვებგვერდზე ატვირთვაში, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ 17:49 საათზე დატოვა სხდომა.

დამოუკიდებელმა ექსპერტმა დაამატა, რომ მაგისტრატურის პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი მისი აზრით არ უნდა ყოფილიყო სავალდებულო, იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ ძირითადად მაგისტრანტები ყველა დასაქმებული იყო. კახა თავზარაშვილმა დაამატა, რომ მაგისტრატურის პროგრამა ისედაც შემჭიდროვებული იყო და ორ წელს ითვალისწინებდა, შესაბამისად, დამატებითი კრედიტების დახარჯვა პრაქტიკაზე არ მიაჩნდა მიზანშეწონილად. მისი აზრით პროგრამა უნდა ორინტირებულიყო კვლევებზე მან აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იყო ის კვლევები და კვლევების თემატიკა, რაც უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ის ეთანხმებოდა ექსპერტების შენიშვნას, რომ მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა კვლევით ნაწილს. მისი მოსაზრებით, საერთო ჯამში პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს, მცირე შენიშვნებით.

საბჭოს წარმომადგენელმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს წარმოადგენდა შიდა გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში, თუმცა სპეციალობის საკითხები საკმაოდ ადვილი იყო და შესაძლოა არასპეციალისტსაც დაეძლია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ეხებოდა მხოლოდ ერთ სილაბუსს „ ქსელურ ტექნოლოგიებს“. მისაღებ გამოცდებზე დგებოდა 100 ქულიანი ტესტი, საიდანაც 50 საკითხი

ინფორმატიკიდან ხოლო 50 ბიზნესის სფეროდან. ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფმა შეამოწმა საგამოცდო ტესტები და დადებითად შეაფასა, რადგან საკმაოდ მისაღები იყო ეს დონე.

17:52 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

საბჭო განახლდა: 18:08

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები

მომხრე-10
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-31 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის და 6 თვის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დაიხურა 18:09 საათზე.

თავმჯდომარე:
გიორგი ამილახვარი

მდივანი:
ლევან გორდეზიანი